

ახალი თაობა



akhalitaoba.ge

„ირაკლი სასიაშვილს აუზი წყლით გავუვსათ“

რატომ შევიდნენ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის წევრები დეპუტატის ეზოში **გვ.4**



სუთშაბათი, 25 ოქტომბერი, 2018

№253 (7798)

ფასი: 60 თეთრი

„ქართულ ოცნებაში“ რღვევა ივანიშვილის გამოსვლამ კიდეც უფრო გააღრმავა



გვ.2

გოჩა მირცხულავა: „მან თანაგუნდელებს უთხრა, რომ მთავარია, ნაცები არ დაბრუნდნენ და მათ ყველაფერი შეერგებათ“



სალომე სამადაშვილი: „ივანიშვილმა დაადასტურა, რომ მარისუანის კულტივაციის უკან თვითონ დგას“ **გვ.4**

გიმინა ივანიშვილი: „პაატა ბურჭულაძემ მომთხოვა 9 მილიონი, მეორე დღეს 2 მილიონის ნასაღებად მისი მეუღლე მოვიდა“ **გვ.3**



მსოფლიო ბანი ბრალდებებს უარყოფს



„საზოგადოებას ხელები გადაგრეხილი აქვს, დროა ვუთხრათ, რომ საკმარისია და გავთავისუფლდეთ!“



თორნიკე შარაშენიძე: „ფარცხალაძეს კომპრომატები ექნება და ამიზომავა ხელშეუხებელი“ **გვ.3**



ზაზა სარალიძე: „მირზა სუბელიანი ახლა კი არ უნდა ჩამოგდარიყო, 5 დეკემბერს უნდა დაეკავებინათ“ **გვ.5**



გიგა მაქარაშვილი: „ხელისუფლება ოკონენებებს მალე უსიქიატრიულში გამოკეტავს“ **გვ.4**


საპარტალო

გვ.7 როგორ გააბათიებინა ყოფილმა პოლიციელმა კრიმინალებს საკუთარი მამა



მალხაზ კობაურის აღმოკვამები სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანეს

გიგა თვალაშვილი გამოუშვეს გირაოში ის 20.000 ლარს გადაიხდის



„მერაბ მორჩილაძე კალანდიაშვილის ოჯახს 1 დეკემბერამდე და შეშვებულად უხმარებოდა ფინანსურად“



5 აშერიკელი ანალიტიკოსები: „აშშ-ის ადმინისტრაციის დაქვემდებარებით მოითხოვს საქართველოსა და უკრაინის ნავთობ მიღებას“


8 მოსკოვის საპატრიარქო კონსტანტინეპოლს დაუმორჩილებლობას უცხადებს

6 გიმინა ივანიშვილი: „ნახეთ ბოლო მიზიდვები, როგორ იქცევა დღევანდელი პოლიცია და გაიხსნა პოლიცია, რომელიც დავნიდა, ხოცავდა საკუთარ მოქალაქეებს“

6 დავით ლორთქიფანიძე: „არ შეიძლება, სუბელიანს რამე მოუვიდეს“



მოლოჯანი 5 მოსამართლე და 1 პროკურორი დააკავეს



მოლოჯას ანტიკორუფციული პროკურორების თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით 5 მოსამართლე და 1 პროკურორი დააკავეს.

საერთო ჯამში, სისხლის სამართლის საქმეზე 10 ადამიანი დაკავებული. მოლოჯას გენერალური პროკურორის ინფორმაციით, სისხლის სამართლის დევნის პროცედურა გენერალური პროკურორის ინიციატივით დაიწყო.

დაკავებულ პირებს ბრალად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღება ედებათ. ფულის სანაცვლოდ მათ გამამართლებელი განაჩენები გამოჰქონდათ, შუამავლების როლს კი ადვოკატი და პროკურორი ასრულებდნენ, - განაცხადეს უწყებამ.

მოლოჯას ანტიკორუფციული პროკურორების თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით 5 მოსამართლე და 1 პროკურორი დააკავეს.

მოსკოვის საპატრიარქო ქონსტანტინეპოლს დაუმორჩილებლობას უხსნაღებს



მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელმა იგორ იაკიმუკმა განაცხადა, რომ რუსეთის ეკლესია უკრაინელების ავტოკეფალიის აღიარებას არასოდეს შეურიგდება.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს არავითარი უფლება არ ჰქონდა, რომ კიევის პატრიარქატი ელიარებინა, - თქვა იაკიმუკმა.

მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელი აცხადებს, რომ რუსეთის ეკლესიას თავისი გზა აქვს. ის ამ გზით წავა და არავის, მათ შორის მსოფლიოს პატრიარქატსაც, ყურადღებას არ მიაქცევს.

კალედონისკოვი

მალაროვი ჩავარდნილა მამაკაცმა მეხველებს ლოდინში სამი ჩხრილა გველი მოკლა



ამერიკის არიზონას შტატში 62 წლის მამაკაცი გადაარჩინეს, რომელიც გველებით სავსე მთებში მალაროვი ჩავარდა.

ჯონ უოდელი მალაროვი ჩასვლას თვითნაკეთი მონყობილობით აპირებდა, რომელიც მან მის ზედაპირზე წინა დღეს დაამონტაჟა. მან მალაროვი ბადაპირით ჩასვლა დაიწყო, მაგრამ როდესაც მის ფსკერამდე 15 მეტრი რჩებოდა, კარბინი გა-

ჯონ ბოლტონი ვლადიმერ პუტინს შეხვდა

ჯონ ბოლტონისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრას ყველა ინტერესით ელოდა. ამას წინ უძღოდა ტრამპის განცხადება, რომ აშშ საშუალო და მცირე რაკეტებთან დაკავშირებით შეთანხმებიდან გადის. ამან მთელ ევროპაში საკმაო ალიაქოთი გამოიწვია. შეშფოთება გამოთქვეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მასამა, საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა და სხვ.

- ნუთუ გამალებული შეიარაღების ხანა ბრუნდება? - ამ კითხვას ბევრი ცნობილი ექსპერტი სვამდა.



პუტინთან შეხვედრამდე ბოლტონი ჯერ პატრუშევს, შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს და თავდაცვის მინისტრ შოიგუს შეხვდა.

პუტინთან საუბარი ფრიალ განტერესოდ წარიმართა. ბოლტონმა განაცხადა, რომ შეთანხმებამ საშუალო და მცირე რაკეტების შესახებ თავისი აქტუალობა დაკარგა.

- ახლა ასეთ რაკეტებს სხვა ქვეყნებიც აწარმოებენ, - თქვა ბოლტონმა.

ბოლტონმა დაამატა, რომ აშშ-ს უსაფრთხოების საკითხებში რუსეთთან თანამშრომლობა სურს.

- ეს ჩვენი სურვილიცაა, - მიუგო პუტინმა.

ბოლტონმა რუსეთის პრეზიდენტს ტრამპთან შეხვედრა შესთავაზა. მის 11 ნოემბერს პარიზში შედგება. ამ

დროს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების მე-100 წლისთავი აღინიშნება. ლონისძიებზე როგორც რუსეთის, ისე აშშ-ის პრეზიდენტებიც არიან მიწვეული.

პრესკონფერენციაზე ბოლტონმა შენიშნა, რომ აშშ-ის გასვლა საშუალო და მცირე რაკეტების შესახებ შეთანხმებიდან, ევროპას საფრთხეს არ უქმნის. აღნიშნული შეთანხმება კარგა ხანია ირღვეოდა, თანაც არაერთგზის. ბოლტონმა კალიფორნიადმი რუსული რაკეტების განლაგებაზე მიუთითა.

- რუსული ფრთოსანი რაკეტები ევროპაში უკვე გამოჩნდნენ! ეს გაცილებით სერიოზული საფრთხეა! - ამბობს ბოლტონი.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა მიუთითა, რომ შე-

თანხმება საშუალო და მცირე რაკეტების თაობაზე 1987 წელს დაიდო. ახლა ვითარება შეიცვალა. ფრთოსანი რაკეტებს უკვე ჩინეთი და ირანიც აწარმოებენ. შესაბამისად, ახალი მიდგომა აუცილებელი.

- ცხადი ხდება, რომ შეთანხმებას საშუალო და მცირე რაკეტების თაობაზე აზრი ეკარგება, - ამბობს ბოლტონი.

მოსკოვიდან გამგზავრების წინ ბოლტონმა გვირგვინი დადო იმ ადგილას, სადაც ბორის ნემცოვი მოკლეს. ამით მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ უკმაყოფილოა რუსეთში დამიანის უფლებების დაცვის დონით.

დონალდ ტრამპმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა, რომ პუტინს 11 ნოემბერს საფრანგეთის დედაქალაქში შეხვდება.

სომხეთის პარლამენტმა პოსტზე პაშინიანს მხარი არ დაუჭირა

სომხეთის პარლამენტმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე ნიკოლ პაშინიანის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა.



პაშინიანის კანდიდატურის სასარგებლოდ არც ერთი ხმა არ დაფიქსირდა, 11-მა დეპუტატმა თავი შეიკავა, 1 კი წინააღმდეგი წავიდა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია რესპუბლიკური პარტიის, „დამწაველთა“ და „ნარკურსანის“ ფრაქციების დეპუტატებს.

- პრემიერ-მინისტრის პოსტზე არც უნდა ავირჩიე. ჩემი კანდიდატურა სწორედ იმიტომ წარადგინეს, რომ მომავალი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით არანაირი სპეკულაცია არ იყოს, - განაცხადა პაშინიანმა.

პრემიერ-მინისტრის ასარჩევად პარლამენტს კიდევ ერთი კვირა აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში პარლამენტს დაითხოვენ და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება.

მაიშადა ნიკა თევზაძე

თახვა ხე ნააქსია და იხსნა დაახინა



გერმანელი წყვილი კინალამ თახვა იმსხვერპლა, რომელიც ხე პირდაპირ მათ იახტაზე წაქცია.

წყვილი ჩრდილოეთ გერმანიაში მდინარე ელდბიზე მოგზაურობდა, როდესაც მათ თახვის მიერ გადარღვნილი 20 მეტრიანი ხე დაეცათ. წყვილი იახტიდან წყალში გადავარდა, თუმცა საბედნიეროდ არ დაშავებულან. ძირითადი ზიანი ხომალდს მიაღწია. მის შესაკეთებლად წყვილს რამდენიმე ათასი ევროს დახარჯვა მოუწევს.

- მათ გაუპართლათ, რომ იახტა ლითონისგანაა დამზადებული და მოგზაურობის გაგრძელებაც კი მოახერხეს, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ადგილობრივი პოლიციის პრეს-მდივანმა.

მაიშადა კახა ნატიაშვილი



„საქართველოს ვარსკვლავი“ იწყება


მუსიკალური მეგობრობები „საქართველოს ვარსკვლავი“ იწყება. შესარჩევი ტურები თბილისიდან დაიწყება და მთელ საქართველოს მოიცავს.



27 თებერვალს პირველი არხის შენობაში პირველი შესარჩევი ტური ჩატარდება და მასში მონაწილეობა 16 წლის ასაკიდან ყველა მსურველს შეუძლია.

შოუ პირველი არხის ეთერში იანვრიდან გავა, „საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებული ხალხის რჩეული კი ვეროვიზია 2019-ზე გაემგზავრება და საქართველოს წარადგენს.

ქეთი დოლიძე აკონი მანგალაძის სახელობის ჯილდოთი დაჯილდოვდა



რეჟისორი ქეთი დოლიძე ეროსი მანგალაძის სახელობის ჯილდოთი დაჯილდოვდა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონია რიგით 21-ე ფესტივალის „საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი გვაგუცაძის, ფესტივალის დამფუძნებელს და სამხატვრო ხელმძღვანელს, რეჟისორ ქეთი დოლიძეს ქართული თეატრის წინაშე განუხლები ღვაწლისათვის „ეროსი მანგალაძის“ სახელობის ჯილდო გადასცა.


რამი აბულთაძე: „უმრავლესობა მწყობრი ნაბიჯით მიდის პოლიტიკური თვითღიკვირისაკენ“

ასე მიიჩნია პოეტ რამი აბულთაძის და აცხადებს, რომ ეს პროცესი ძალიან სევდიანი საყურებელია: - არაფერია იმაზე გულსაკლავი, სევდიანი და ქანცვაბომცლელი, როდესაც მონას უყურებ და ეს მონობა არა უპირობო და გარდაუვალი მოცემულობა, არამედ მონათა ყოველდღიური, პირადი არჩევანია. არჩევანი - დარჩე ტყვეობაში, ვინრო, პირადი კონტექსტის, გამონვლილი „კარმუშის“ და ზომივით ამართლო ბელადის ბოდეა - ინვეს მათ მიმართ არა აგრესიას და ზიზლს, არამედ საცოდოაობისა და აპათიურობის განცდას.



ამირან ამირანაშვილი თეატრში დაბრუნდა

მსახიობი ამირან ამირანაშვილი 10-წლიანი პაუზის შემდეგ მუსიკისა და დრამის თეატრში დაბრუნდა. რეჟისორმა დავით დოიაშვილმა მსახიობთან ერთად მუშაობა დაიწყო სპექტაკლზე „შეშლილი წერილები“.



სამგლოვიარო განცხადება

Announcement for a memorial service for the late Merab Gvarishvili. It lists the date, time, and location of the funeral. The service is for Merab Gvarishvili, who passed away on February 23, 2018, at the age of 88. The funeral will be held at the Holy Trinity Church in the Gdansk district of Tbilisi on Wednesday, February 27, 2018, at 12:00 PM. The burial will take place in the Holy Trinity Churchyard.

სალომე ზურაბიშვილის განცხადება მწერლები და პოეტები გააღიზიანა

პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს წარდგენასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა: - მე პრეტენზია არ მაქვს, რომ საქართველოს კულტურის ყველა დარგში მაქვს ისეთი ცოდნა, ან ვიცი რა უნდა გაკეთდეს.



სალომე ზურაბიშვილის განცხადებას წიგნის გამოცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი გვანცა ჯობაძე გამოეხმაურა: - ამ ქალს სინდისი აქვს საერთოდ, მართლა მაინტერესებს? საერთოდ რა გაუკეთებია ოდესმე სასიკეთო ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ბედვს და სმას იღებს და აკრიტიკებს მოვლენას, რომელმაც მთელ ქვეყანას ღირსება დაგვიბრუნა, გვაგრძობინა, რომ ჩვენც შეგვიძლია რაღაც, რომ ჩვენც ნაწილი ვართ ცივილიზებული სამყაროსი, რომელსაც თავისი კულტურით, თავისუფალი აზროვნებითა და უმაღლესი მენეჯმენტით ვეროვის გამოცემა შეუძლია.

ანიტა რაჩელაშვილი ქველმოქმედებისთვის იმწოდებს

25 თებერვალს მეცო-სოპრანო ანიტა რაჩელაშვილი ქველმოქმედებისთვის იმწოდებს. ონდნე „იავენანა“ ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსის ვატო მალრადის დახმარებით გალა-კონცერტს გამართავს, სადაც სპეციალური სტუმარი 18 წლის ვირტუოზი მევიოლინე, ზალცბურგის მოცარტის საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი, ვეროვიზის „წლის ახალგაზრდა მუსიკოსის“ ტიტულის მფლობელი ვირტუოზი მარინა მოსნაილუბასაა. თეონა ჯორბენაძე, ონდნე „იავენანას“ ხელმძღვანელი: - ჩვენი მთავარი ამოცანაა დავებამართო ჩვენი ორკესტრის 26 წლის მუსიკოსის ვატო მალრადის, რომელსაც მწვევე ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვეს.

Advertisement for a concert by Anita Rachvelishvili. It features a photo of her and text announcing a performance at the Tbilisi Concert Hall on October 25, 2018, at 10:00 PM. The program includes works by Beethoven and Liszt, with special guest Ziyu He playing the violin.

პატარა სპორტიანი ჯიხა

სპორტიანი ჯიხის დაარსებამდე საქართველოში არ იყო საჭირო სპორტიანი ჯიხების დაარსება. ამჟამად საქართველოში საჭიროა სპორტიანი ჯიხების დაარსება, რადგან სპორტიანი ჯიხების დაარსება საჭიროა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისთვის. სპორტიანი ჯიხის დაარსება საჭიროა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისთვის.



სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს. ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და წილები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორციელებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირების და ლაქების გარეშე.

მალამოების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

